სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 214

2022 წლის 29 ნოემბერი

ქ. თბილისი

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულებისა და საგრანტო კოკურსის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 10 აგვისტოს N133/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსის მარიამ სამსახურებრივი ბარათის (N1514345, 29.11.2022) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. გრანტის მიმღებმა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი), არაუგვიანეს 2022 წლის 2 დეკემბრისა უნდა წარმოადგინოს საბანკო ანგარიში, რომელზეც ჩაირიცხება მხოლოდ საგრანტო დაფინანსება;
3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტის წარმდგენებთან, საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2022 წლის 15 დეკემბრისა;
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ეკატერინე ბუთლიაშვილი
ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

დანართი
დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საერთველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2022 წლის 29 ნოემბრის N214 ბრძანებით

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR)
2022 წლის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტები

N	პროექტის სათაური	GMUS N	ორგანიზაცია
1.	კულტურული ურთიერთობები კავკასიასა და ეგეოსურ სამყაროს შორის პრეისტორიის პერიოდიდან კლასიკურ ეპოქამდე	CNR-22-112	საქართველოს ეროვნული მუზეუმი
2.	მოდელების შემოწმება პოლიედრული ლოგიკისთვის	CNR-22-010	ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3.	დარიშხანით დაბინძურებული წყალი: გასუფთავების ბუნებრივი ტექნოლოგია წყლის მაკროფიტის (ლემნა - Lemna spp.) და ლურჯ-მწვანე წყალმცენარის (სპირულინა - Arthrospira (Spirulina) platensis) გამოყენებით	CNR-22-011	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
4.	საქართველოს კულტურული მემკვიდროების, ენგურის ჰიდროელექტრო სადეგურის, რისკების შეფასება განზოგადოებული (ინტერგრალური) მეთოდოლოგიის გამოყენებით	CNR-22-198	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5.	ენანტიომერების თხევად-ფაზური დაყოფის მექანიზმების და არაკოვალენტური ურთიერთქმედებების ექსპერიმენტული და თეორიული კვლევა	CNR-22-259	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი